F 133
1941

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. 2 ივნისი | № 18 | თბილისი

F 556

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

104. საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. გ. ი. მამუჩაშვილის დანიშვნის შესახებ.

105. საქართველოს სსრ ნაკრძალი ნაკვეთებისა და ბუნების ძეგლთა ქსელის დამტკიცების შესახებ.

106. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარ სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარ სამმართველოს შესახებ.

107. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ნაკრძალების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ნაკრძალების შესახებ.

108. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების სამმართველოსთან სამეცნიერო საბჭოს შექმნის შესახებ.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

104. საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. გ. ი. მამუჩაშვილის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. გრიგოლ ისაკის-ძე მამუჩაშვილი საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 9 აპრილი № 639.
თბილისი.

---

105. საქართველოს სსრ ნაკრძალი ნაკვეთებისა და ბუნების ძეგლთა ქსელის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ნაკრძალების, ნაკრძალი ნაკვეთებისა და ბუნების ძეგლების სია, რომელიც დართული აქვს ამ დადგენილებას.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთი თვის ვადაში გადასინჯოს აფხაზეთში არსებული ნაკრძალების სია, უკეთუ საჭირო იქნება შეიტანოს ამ სიებში ცვლილებანი და დაზუსტებანი და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თითოეული ნაკრძალისა და მისი ფართობის აღნიშვნით.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს შემდეგი დადგენილებანი:

1) 1935 წლის 4 ნოემბრის „ნაკრძალების, მკვდარი ბუნების ნაკრძალი ძეგლების და დაცვითი ნაკვეთების ქსელის დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 31, მუხ. 200);

2) 1936 წლის 15 სექტემბრის „საქართველოს სრული ნაკრძალების ქსელის დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 25, მუხ. 148).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 17 აპრილი № 701.
თბილისი.

№№ რიგზე	ნაკრძალისა, ნაკრძალი ნაკვეთებისა და ბუნების ძეგლის დასახელება	სამყოფელი ადგილი	ფართობი ჰექტარებში	ნაკრძალის დანიშნულება	ნაკრძალის და ნაკრძალი ნაკვეთის საზღვრები
3	თელავ-ყვარლის ნაკრძალი.	თელავისა და ყვარელის რაიონები.	9000 ჰექტ.	ქართული ხოხბის დაცვა და გამრავლება.	აღმოსავლეთით: მდინარე ილწობა იმ ადგილიდან, სადაც მას გადაჭრის შაქრიახის გზატკეცილი, მდ. ალაზანამდე, შემდეგ კისისხევის ხრამის, ეგრეთწოდებული „პართენიანთხევის“ გაყოლებით საქონლის სარეკ მთავარ რესპუბლიკურ გზამდე; სამხრეთით: ამ ადგილიდან საქონლის სარეკი მთავარი რესპუბლიკური გზის გაყოლებით ტოლნიანის ეკლესიის გასწვრივ სოფ. კონდოლის ბოლოს თელავის რაიკომბინატის ტერიტორიის ნაპირით და შემდეგ „ბელანაფშას“ სათავეების გადაჭრით სოფ. გულგულას ვენახების ნაპირის გაყოლებით, პირდაპირი ხაზით მდინარე თურდოს კალაპოტამდე; დასავლეთით: მდინარე თურდოს კალაპოტით მდინარე ალაზნამდე. შემდეგ, ამ მდინარის გადაჭრისას, მდინარე ლოპოტის ზევ-ზევით გაყოლებით სოფ. ნაფარეულის ვენახების სანაპიროებამდე; ჩრდილოეთით: სოფ, ნაფარეულისა და საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტის (სამტრესტის) ვენახების სამხრეთ ნაპირიდან შაქრიანის გზატკეცილით შაქრიანის ხიდამდე, შემდეგ პირვანდელ წერტილამდე იქ, სადაც გზატკეცილს გადაჭრის მდინარე ილწობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	ნაკრძალისა, ნაკრძალი ნაკვეთისა და ბუნების ძეგლის დასახელება	სამყოფელი ადგილი	ფართობი ჰექტარებში	ნაკრძალის დანიშნულება	ნაკრძალისა და ნაკრძალი ნაკვეთის საზღვრები
4	ბაწარის ურთხმელის ნაკრძალი.	თელავის რაიონი.	400 ჰექტ.	ურთხმელის, როგორც ტექნიკურად ძვირფასი რელიქტური ჯიშის, შენარჩუნება და გავრცელება.	მდინარე ბაწარას ხეობის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ფერდობი.
5	შირაქის ფსტის ნაკრძალი.	წითელწყაროს რაიონი.	ნარგავები და ცალკეული ხეები.	ფსტის შენარჩუნება და გამრავლება როგორც ტექნიკურად ძვირფასი და რელიქტური ჯიშისა.	შირაქის ველი.
6	ელდარის ფიჭვი.	წითელწყაროს რაიონი.	ნარგავები ფართობით 40 ჰექტარი და ცალკეული ხეები.	ელდარის ფიჭვის შენარჩუნება და გამრავლება, როგორც ენდემიური და რელიქტური ჯიშისა.	
7	მარიამჯვარის ფიჭვი.	საგარეჯოს რაიონი.	ნარგავები ფართობით 40 ჰექტარი და ცალკეული ხეები.	მარიამჯვარის ფიჭვის შენარჩუნება, როგორც ფორმის წარმოქმნის ნიმუშისა.	მარიამჯვარის ღელის ნარიყზე.
8	ნაღვრევი	ბორჯომის რაიონი.	300 ჰექტ.	მთლად ამ ნაკვეთის მცენარეულობის სავსებით შენარჩუნება, რადგანაც მას აქვს დიდი მნიშვნელობა ადგილისა და წყლის დაცვისათვის.	

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	ნაკრძალისა, ნაკრძალი ნაკვეთისა და ბუნების ძეგლის დასახელება	სამყოფელი ადგილი	ფართობი ჰექტარებში	ნაკრძალის დანიშნულება	ნაკრძალისა და ნაკრძალი ნაკვეთის საზღვრები
9	ტყიბულის წაბლის ნაკრძალი.	ტყიბულის რაიონი.	1400 ჰექტ.	წაბლის შენარჩუნება და შემდგომი გამრავლება, როგორც ტექნიკურად ძვირფასი და რელიქტური ჯიშისა.	მდინარე ტყიბულის ხეობის ფერდობებზე და ხეობის ზევ-ზევით აყოლით ნაქერალას უღელტეხილამდე.
10	ძელქვა.	ქუთაისის რაიონი.	ნარგავები და ცალკეული ხეები.	ძელქვის შენარჩუნება, როგორც ტექნიკურად ძვირფასი ენდემიური და რელიქტური ჯიშისა.	აჯამეთის ტყის აგარაკში, აგარაკის არსებული საზღვრებით.
11	პონტოს მუხა.	მახარაძის რაიონი.	14 ჰექტ.	პონტოს მუხის შენარჩუნება, როგორც რელიქტური და ენდემიური ჯიშისა.	ბახმაროს სატყეო მეურნეობა.
12	რიცა.	გუდაუთის რაიონი აფხაზეთის ასსრ.	12586 ჰექტ.	ფაუნისა (კვერნა, ირემი, კალმახი) და ფლორის დაცვა.	იმ ადგილიდან, სადაც მდინარე ოფშარა ერთვის მდინარე გეგას მისი უკიდურესი მარცხენა სათავემდე, რომელიც იწყება წყალგამყოფი ქედიდან მდინარეების ფსოუს და გეგას და ამავე ქედის მწვეოვალების შორის, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით ნიშნებით (საჟენებში) 1011, 1118, 1107 და კავკასიონის მთავარი ქედის გაყოლებით შემდეგი მწვეოვალების გასწვრივ 1210, 1450, 1528 (აგეპსტის მთა), 1460, ფართობით 6200 ჰექტ; ამას ეშატება მთიანი საძოვრები მდინარეების ლალიპსეს და უათხარის სათავეებში, ფართობით 6385,5 ჰექტ.,სულ-კი ფართობით 12586,5 ჰექტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	ნაკრძალისა, ნაკრძალი ნაკვეთისა და ბუნების ძეგლის დასახელება	სამყოფელი ადგილი	ფართობი ჰექტარებში	ნაკრძალის დანიშნულება	ნაკრძალისა და ნაკრძალი ნაკვეთის საზღვრები
13	თავფარავანის კობრი.	ახალქალაქის რაიონი.	თავფარავანის ტბა.	შენარჩუნება და გამრავლება თავფარავანის კობრისა, როგორც ცივ წყალში და მაღალმთიან ადგილას წარმოქმნილი რასის, რომელსაც თევზის მეურნეობაში დიდი ფასი აქვს.	თავფარავანის ტბა.
14	მეგრული ფუტკარი.	ჩხოროწყუს, წალენჯიხის და მარტვილის რაიონები.	ამ რაიონების მთელი ტერიტორია.	შენარჩუნება და გამრავლება მეგრული ფუტკრისა, რომელსაც აქვს დიდი სამეურნეო დანიშნულება.	ჩხოროწყუს, წალენჯიხის და მარტვილის რაიონების ტერიტორია.
15	„ქორ-ოღლის“ ვულკანის მწვერვალი.	თბილისის რაიონი.	ვულკანის მწვერვალი.	„ქორ-ოღლის“ ვულკანის მწვერვალის შენარჩუნება, როგორც ქალ. თბილისის რაიონის ვულკანურ ამონთხევათა ცენტრისა.	„ქორ - ოღლის“ ვულკანის მთელი მწვერვალი.
16	თავკვეთილის ვულკანის მწვერვალი.	ბორჯომის რაიონი.	ვულკანის მწვერვალი.	ვულკანის მწვერვალის შეხარჩუნება, როგორც ახალქალაქისა და ბორჯომის რაიონების ვულკანურ ამონთხევათა ცენტრისა.	

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	ნაკრძალისა, ნაკრძალი ნაკვეთისა და ბუნების ძეგლის დასახელება	სამყოფელი ადგილი	ფართობი ჰექტარებში	ნაკრძალის დანიშნულება	ნაკრძალისა და ნაკრძალი ნაკვეთის საზღვრები
17	„ურთხლის უბანი“ (გაქვავებული ტყე).	ადიგენის რაიონი.	—	გაქვავებული ტყის ნაკვეთის შენარჩუნება, რომელსაც აქვს სამეცნიერო მნიშვნელობა.	
18	„დევის-ხვრელის“ მღვიმე.	ორჯონიკიძის რაიონი.	—	მღვიმის შენარჩუნება, რომელსაც აქვს ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობა (პალეოლითური ადამიანის ნაშთები).	
19	„ვარძის-ქვის“ მღვიმე.	ჭიათურის რაიონი.	—	მღვიმის შენარჩუნება, რომელსაც აქვს ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობა.	
20	„სათაფლიას“ სტალაქტიტის მღვიმე.	ქუთაისის რაიონი.	—	სტალაქტიტის მღვიმის შენარჩუნება, როგორც ბუნებრივი სილამაზის ნიმუშისა, რომელსაც აქვს აგრეთვე სამეცნიერო მნიშვნელობა.	
21	სტალაქტიტის მღვიმე წყალტუბოს ახლო.	ქუთაისის რაიონი.	—	იგივე.	

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	ნაკრძალისა, ნაკრძალი ნაკვეთისა და ბუნების ძეგლის დასახელება	სამყოფელი ადგილი	ფართობი ჰექტარებში	ნაკრძალის დანიშნულება	ნაკრძალისა და ნაკრძალი ნაკვეთის საზღვრები
22	კოჯრის პარკი.	თბილისის რაიონი.	—	პარკის შენარჩუნება, რომელშიც არის აკლიმატიზებული უცხოური ძვირფასი ჯიშის მცენარეები.	
23	ქუთაისის საქალაქო პარკი.	ქალ. ქუთაისი	—	იგივე.	
24	ზუგდიდის პარკი.	ქალ. ზუგდიდი.	—	იგივე.	

106. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარ სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარი სამმართველოს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის თებერვლის დადგენილება „საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და განვითარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 7, მუხ. 41).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 25 აპრილი № 758
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარ სამმართველოს შესახებ

I. საერთო დებულებანი

1. ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარი სამმართველო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) 48 მუხლის შესაბამისად, არსებობს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ანხორციელებს:

ა) რესპუბლიკური მნიშვნელობის სახელმწიფო ნაკრძალების უშუალო გამგებლობას;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ბიუჯეტებზე, აგრეთვე საქალაქო და რაიონულ ბიუჯეტებზე მყოფი ადგილობრივი მნიშვნელობის ზოოპარკების, ზოობაღების და ნაკრძალების მუშაობის ორგანიზაციულ და სამეცნიერო მეთოდურ ხელმძღვანელობას და კონტროლს;

გ) სანადირო-სარეწაო ფაუნის აღრიცხვის, მისი უფრო რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მეთოდების დამუშავებას;

დ) ზოოპარკებისა და ზოობაღების ქსელის დაგეგმვას, ზოოპარკებისა და ზოობაღების ცხოველთა ეგზემპლარებით მომარაგების მოწესრიგებას;

ე) ახალი ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების დადგენილი წესით მოწყობას.

2. ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარი სამმართველო თავის საქმიანობაში უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

3. მთავარ სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ნიშნავს.

II. ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარ სამმართველოს უფლება-მოვალეობანი

4. ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარი სამმართველო:

ა) ამტკიცებს ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების ინდივიდუალურ დებულებებს და სამუშაოთა ყოველწლიურ გეგმებს და იხილავს ანგარიშებს მათი მუშაობის შესახებ;

ბ) ანხორციელებს სახელმწიფო ნაკრძალებში მეურნეობრივად ძვირფას გარეულ ცხოველთა და მცენარეთა აკლიმატიზაციისა და რეაკლიმატიზაციის ღონისძიებებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სამტკიცებლად წარუდგენს ცოცხალი ბუნებრივი რესურსების აღრიცხვის, მათი გამდიდრებისა და რაციონალურად გამოყენების, აგრეთვე ბუნების იმ ობიექტთა დაცვის ღონისძიებებს, რომლებიც ღირებულებას წარმოადგენენ სამეურნეო-სამეცნიერო ან კულტურული თვალსაზრისით;

დ) აღრიცხავს სახელმწიფო ნაკრძალების სატყეო ფონდს და ანხორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ტყის მასივების დაცვას და ტყის აღდგენას სახელმწიფო ნაკრძალებში;

ე) მთავრობის მიერ ნაკრძალების შესახებ მიღებულ დადგენილებათა შესაბამისად აწესებს ნაკრძალობის რეჟიმს, როგორც თითოული ნაკრძალის მთელი ტერიტორიის მიმართ, ისე მისი ცალკეული ნაკვეთებისა და ობიექტების მიმართაც;

ვ) ანხორციელებს შინასაუწყებო დოკუმენტალურ კონტროლს სახელმწიფო ნაკრძალებში, ზოოპარკებსა და ზოობაღებში, აგრეთვე მისი სისტემის სხვა დაწესებულებებში;

ზ) აწყობს კადრების შერჩევას სახელმწიფო ნაკრძალებსა, ზოოპარკებსა და ზოობაღებში სამუშაოდ და აწარმოებს ამ კადრების აღრიცხვას;

თ) გამოსცემს სახელმწიფო ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების სამეცნიერო შრომებს, სამეცნიერო-მეთოდურ კრებულებს, ბიულეტენებსა და სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას ნაკრძალების, ზოოპარკების, ზოობაღებისა და ბუნების დაცვის საკითხებზე.

5. ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარ სამმართველოს აქვს დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვა საქართველოს სსრ ბიუჯეტით. მთავარ სამმართველოს ხარჯთაღრიცხვით გაღებულ ძთელ სახსრებს განაგებს მთავარ სამმართველოს უფროსი კრედიტების პირველი ხარისხის განმკარგულებლის უფლებებით.

6. მთავარ სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი.

7. მთავარი სამმართველოს უფროსი ხელმძღვანელობს მთავარ სამმართველოს მუშაობას; თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მომქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად და ამოწმებს მათს შესრულებას; დანიშნავს და დაითხოვს მთავარ სამმართველოს მუშაკებს, აგრეთვე სახელმწიფო ნაკრძალების და მთავარ სამმართველოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული სხვა დაწესებულებების დირექტორებს, მათს მოადგილეებს, სამეცნიერო ნაწილის გამგეებს, მთავარ და უფროს ბუხჰალტრებს და უფროს მეტყევეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ნაკრძალების, ზოოპარკების და ზოობაღების მთავარ სამმართველოს სტრუქტურა

8. მთავარ სამმართველოს უფროსს ჰყავს ერთი მოადგილე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

9. მთავარ სამმართველოს შემადგენლობაში იქმნება შემდეგი ჯგუფები:

1) ნაკრძალებისა და ბოტანიკური ბაღების ჯგუფი,

2) ზოოპარკებისა და ზოობაღების ჯგუფი,

3) საფინანსო ეკონომიური ჯგუფი,

4) ტერიტორიის ორგანიზაციის ჯგუფი.

10. ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარ სამმართველოსთან იმყოფებიან ლაგოდეხის, ბორჯომისა და აფხაზეთის სამეცნიერო-ბიოლოგიური სადგურები.

11. მთავარ სამმართველოს უფროსთან არსებობს სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო მთავარ სამმართველოს უფროსის წარდგენით.

სამეცნიერო საბჭო მოიწვევა ექვს თვეში ერთხელ მაინც და განიხილავს სახელმწიფო ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების ქსელის დაგეგმვის, მათი მიზნობრივი ამოცანების დაწესების, მათი საქმიანობის საერთო წარმართვის, სამეცნიერო-საკვლევო და პრაქტიკული მუშაობის თემატიკის დაგეგმვის საკითხებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ცოცხალ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვასთან და სწორად გამოყენებასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს.

107. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ნაკრძალების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ნაკრძალების შესახებ.

2. მუხლი 7 საქართველოს სსრ სანადირო მეურნეობის დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 20 სექტემბერის დადგენილებით (საქ. სსრ დადგ. კრ. 1940 წ. № 24, მუხ. 102) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„7. ნაკრძალების მართვა-გამგეობის წესი დადგენილი იქნება ინდივიდუალური დებულებებით, რომლებსაც ცალკე თითოეული ნაკრძალისათვის დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების სამმართველო“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 25 აპრილი № 759.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ნაკრძალების შესახებ

1. სახელმწიფო ნაკრძალებად ითვლებიან მიწის განსაზღვრული ნაკვეთები, რომლებიც განსაკუთრებულ სამეურნეო, სამეცნიერო და კულტურულ ღირებულებას წარმოადგენენ, და რომელთა სამეურნეო გამოყენება აკრძალულია იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას ამ ნაკვეთებზე არსებული ბუნებრივი სიმდიდრენი მოსპობისა და გაფუჭებისაგან.

2. სახელმწიფო ნაკრძალებთან შეიძლება გამოყოფილ იქნას დაცვითი ზონა, რომლის ამოცანას წარმოადგენს ბუნებრივი საცავის შექმნა ნაკრძალობის ღარღვევის წინააღმდეგ.

3. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კენონის) შესაბამისად, ნაკრძალები მათს ტერიტორიაზე არსებული ტყეებით, წიაღისეულით, გარეული ფაუნითა და ფლორითურთ წარმოადგენენ სახელმწიფო საკუთრებას ე. ი. საყოველთაო-სახალხო კუთვნილებას.

4. ნაკრძალების მოწყობა ისახავს შემდეგ ძირითად ამოცანებს:

ა) სამეურნეო კულტურული ანუ სამეცნიერო თვალსაზრისით ძვირფასი ბუნებრივი სიმდიდრეთა დაცვას აღდგენას და გადიდებას;

ბ) მოცემული რაიონის წყლის რეჟიმის და მისი ნორმალური კლიმატური პირობების დაცვას;

გ) ბუნების იმ ნაკვეთების დაცვას, რომლებიც უფრო ტიპიურია მოცემული გეოგრაფიული ზონებისათვის;

დ) საჭირო პირობების შექმნას ნაკრძალებში ბუნების შესწავლის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისათვის, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების აღრიცხვის, მათი გადიდების, გაუმჯობესებისა და რაციონალურად გამოყენების საშუალებათა საკითხების პრაკტიკულად გადაჭრას;

ე) სამეურნეო-სამეცნიერო თვალსაზრისით ძვირფას გარეულ ცხოველთა და მცენარეთა აკლიმატიზაციის და რეაკლიმატიზაციის ამოცანების გადაჭრას;

ვ) ტურიზმისა და ნაკრძალებში სამეცნიერო ექსკურსიების მოწყობის გზით, მოსახლეობისათვის ნაკრძალების ბუნებისა და მათი მუშაობის გაცნობას.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაკრძალები იყოფა რესპუბლიკური მნიშვნელობის ნაკრძალებად და ადგილობრივი მნიშვნელობის ნაკრძალებად (ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში).

6. რესპუბლიკური მნიშვნელობის სახელმწიფო ნაკრძალების შექმნა, მათი საზღვრების დაწესება და დაცვითი ზონების გამოყოფა, აგრეთვე თითოეული ნაკრძალის ძირითადი ამოცანებისა და დანიშნულების განსაზღვრა ხდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის ნაკრძალებისა — აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისართა საბჭოების დადგენილებებით და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარ სამმართველოს წარდგენით.

7. რესპუბლიკური მნიშვნელობის სახელმწიფო ნაკრძალებს უშუალოთ განაგებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარი სამმართველო და ეს ნაკრძალები საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან. ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ნაკრძალები იმყოფებიან აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უშუალო გამგებლობაში და თავიანთ მუშაობას, ანხორციელებენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარ სამმართველოს საერთო ხელმძღვანელობითა და კონტროლით. ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ნაკრძალები იმყოფებიან სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ბიუჯეტზე.

8. ნაკრძალების შექმნა ქვეყნდება დადგენილი წესით პრესის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებში.

9. სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე კატეგორიულად აკრძალულია ყოველგვარი ნადირობა, გარეული ცხოველის დაჭერა და მოსპობა რაიმე საშუალებებით, ბუდეების, სოროების დანგრევა, კვერცხებისა და ბუმბულის შეგროვება, თევზის ჭერა, ხეებისა და ბუჩქნარების მოჭრა და დაზიანება. წიაღისეულის მოპოვება, პირუტყვის ძოვება, ბალახის თიბვა, სამეურნეო საჭიროებისათვის მცენარეთა შეგროვება.

ის პირნი, ვინც ამ აკრძალვას დაარღვევენ, მიცემული იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

10. ნადირობის, გარეული ცხოველის დაჭერისა და მოსპობის აგრეთვე ტყის გაჩეხვის აკრძალვა ვრცელდება კოლმეურნეობათა სარგებლობაში გადაცემულ იმ მიწებზედაც, რომლებიც ნაკრძალებისა და მათი დაცვითი ზონების საზღვრებში შედიან.

11. აკრძალულია გარეშე პირთა ყოფნა სახელმწიფო ნაკრძალების ტერიტორიაზე ნაკრძალის დირექციის ნებადაურთველად.

გარეშე პირთა ყოფნა ნაკრძალის ტერიტორიაზე ნაკრძალის დირექციის ნებადაურთველად, რომლებსაც თოფი ან დასაჭერი იარაღები ექნებათ, აკრძალულ ნადირობას უდრის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარ სამმართველოს უფლება ენიჭება ნება დართოს ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფო ნაკრძალების ტერიტორიაზე მოჰკლან ცხოველი და ფრინველი სამეცნიერო მიზნებით, მოსპონ მტაცებლები, აგრეთვე შეაგროვონ ხილი, კენკრა, სოკო და დაიჭირონ თევზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარ სამმართველოს უფლება ეძლევა ცალკეულ შემთხვევებში გადაუხვიოს სახელმწიფო ნაკრძალების დაწესებულ რეჟიმს, რაც გამოწვეული იქნება თვით ნაკრძალის მეურნეობის საჭიროებით და მიმართული იქნება მისი ძირითადი ამოცანების შესრულებისაკენ.

12. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარ სამმართველოს ნებართვით სახელმწიფო ნაკრძალების ტერიტორიაზე გამოიყოფა მიწის ნაკვეთები თვით ნაკრძალის სამეურნეო საჭიროების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე მისი თანამშრომლების საჭიროების დასაკმაყოფილებლად იმ ოდენობით, რაც დაწესებულია საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებისათვის.

13. სახელმწიფო ნაკრძალების დაცვითი ზონების ტერიტორიაზე სამეურნეო სარგებლობა დაიშვება ამ სარგებლობის წესის შეთანხმებით დაინტერესებულ ორგანოებსა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარ სამმართველოს შორის.

14. თითოეული ნაკრძალის რეჟიმი, მისი ძირითადი ამოცანებისა და დანიშნულების შესაბამისად, დაწესდეს ნაკრძალის ინდივიდუალურ დებულებაში, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარი სამმართველო.

ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ნაკრძალთა ინდივიდუალურ დებულებებს ამტკიცებენ კუთვნილებისამებრ — აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით.

15. სახელმწიფო ნაკრძალებს აქვთ ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ ღერბი და ნაკრძალის დასახელება.

16. სახელმწიფო ნაკრძალს სათავეში უდგას ზედამხედველი, რომელსაც დანიშნავს და დაითხოვს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების მთავარი სამმართველო.

ზედამხედველის უფლება-მოვალეობანი დაწესდება ინდივიდუალური დებულებით ნაკრძალის შესახებ.

17. სახელმწიფო ნაკრძალების მცველები სარგებლობენ სსრ კავშირის სახელმწიფო სატყეო დაცვის მთელი უფლებებით და მოქმედებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაკრძალთა დაცვის სამსახურის განსაკუთრებული წესდების საფუძველზე, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

18. სახელმწიფო ნაკრძალების ლიკვიდაცია, აგრეთვე მათი ტერიტორიის, ძირითადი ამოცანებისა და დანიშნულების ყოველგვარი შეცვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით რესპუბლიკური მნიშვნელობის ნაკრძალების მიმართ, ანდა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ადგილობრივი მნიშვნელობის ნაკრძალების მიმართ.

---

108. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების სამმართველოსთან სამეცნიერო საბჭოს შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას აკადემიკოს ნ. ნ. კეცხოველის წინადადება იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების სამმართველოსთან შეიქმნას სამეცნიერო საბჭო 13 კაცის შემადგენლობით.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების სამეცნიერო საბჭოს შემდეგი პერსონალური შემადგენლობა:

1. ნ. ნ. კეცხოველი — აკადემიკოსი.
2. ა. გ. ჯანაშვილი — მეცნიერებათა კანდიდატი.
3. მ. დ. რჩეულიშვილი — მეცნ. აკ. ზოოლოგ. ინსტ. უფ. მეცნ. მუშაკი.
4. ვ. ლ. მენაბდე — მეცნ. აკ. ბოტანიკური ინსტიტუტი. მეცნიერებათა კანდიდატი.
5. ა. ი. ჯანელიძე — აკადემიკოსი.
6. ლ. ი. ჩიბურდანიძე — სატყეო მრეწვ. სახ. კომისარი-მეცნიერებათა კანდიდატი.
7. ი. ნ. ლომაური — საქ. ლ. პ. ბერიას სახ. სასოფ.-სამ. ინსტიტუტის პროფესორი.
8. ვ. ზ. გულისაშვილი — პროფესორი სასოფ.-სამ. მეცნიერებათა დოქტორი.
9. ე. ლ. მარკოვი — მონადირეობის მცოდნე—საქმონკავშირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ვ. ნ. ნიკიტინი — პროფესორი, სასოფ.-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი.
11. დ. მელაძე — მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
12. დ. ვ. აღლაძე — ზოოვეტინსტიტუტის პროფესორი.
13. ვ. ტ. რცხილაძე — ზოოვეტინსტიტუტის პროფესორი.

3. დაწესდეს, რომ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ ითვლება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების სამმართველოს უფროსი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 25 აპრილი № 760.
თბილისი.

1941-350

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

ღონდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შეკვეთა № 1180 ტირაჟი 1.600